საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 183 2022 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №459 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №459 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ფუნქციები და ამოცანები

1. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ამოცანებია:

ა) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №551 დადგენილების საფუძველზე შექმნილი ადამიანის უფლებების

უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა და ტექნიკური მხარდაჭერა;

ბ) ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს მუდმივმოქმედი თემატური კომისიების ან/და დროებითი უწყებათაშორისი ფორმატების კოორდინაცია და ტექნიკური მხარდაჭერა;

გ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №550 დადგენილების საფუძველზე შექმნილი გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს ფუნქციების შესრულება;

დ) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილების საფუძველზე შექმნილი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს ფუნქციების შესრულება;

ე) საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის №551 დადგენილებით შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ანალიტიკური მხარდაჭერა; გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკონტაქტო უწყების ფუნქციის შესრულება;

ვ) ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოსთვის, მუდმივმოქმედი თემატური კომისიებისა და კომიტეტისთვის, შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა;

ზ) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების, მათ შორის, ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავების ადმინისტრირება;

თ) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, შესრულების ხელშეწყობისა და შესრულების

შეფასების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

2. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ფუნქციებია:

ა) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებში და სამოქმედო გეგმის პროექტის და/ან გეგმაში შესატანი ცვლილებების მომზადება და უწყებათაშორისი საბჭოსთვის, მუდმივმოქმედი თემატური კომისიებისთვის, კომიტეტისთვის წარდგენა;

ბ) ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, და უწყებათაშორისი საბჭოსთვის, მუდმივმოქმედი თემატური კომისიებისთვის, კომიტეტისთვის წარდგენა;

გ) ადამიანის უფლებათა სამდივნოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლის, სათანადო რეკომენდაციების შემუშავების ან/და ანგარიშების მომზადების მიზნით დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევა;

დ) ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოსთვის, მუდმივმოქმედი თემატური კომისიებისთვის, კომიტეტისთვის ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის პროექტის წარდგენა;

ე) საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების თემატური ანგარიშის მომზადების კოორდინაცია;

ვ) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასებების ანალიზი და პოლიტიკის დოკუმენტებში მათი ჯეროვანი ინკორპორირება;

ზ) საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში;

თ) მუდმივმოქმედი თემატური კომისიების, კომიტეტის ან/და დროებითი უწყებათაშორისი ფორმატების შექმნის საჭიროების იდენტიფიცირება;

ი) უწყებათაშორისი საბჭოსა და თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრის დღის წესრიგის მომზადება და შეხვედრის ოქმის მომზადება;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო ან/და დონორ ორგანიზაციებთან, ასევე უცხო ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

ლ) ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა და შესაბამის თემატიკაზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

მ) ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე თემატურ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა;

ნ) ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის სამდივნოს ელექტრონულ ვებგვერდზე განთავსება;

ო) ადამიანის უფლებათა საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების ორგანიზება.

მუხლი 3. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელმძღვანელობა

1. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსი, რომელსაც, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.

2. ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსის არყოფნის პერიოდში, ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე (ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

3. ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსი:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის დავალებებისა და ამ დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სამდივნოს საქმიანობას, დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე;

ბ) ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №550 დადგენილებით შექმნილ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას;

გ) ანაწილებს სამსახურებრივ დოკუმენტაციას ადამიანის უფლებათა სამდივნოს შესაბამის თანამშრომლებს შორის და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას;

დ) დადგენილი წესით, განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს;

ე) ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიმდინარე საქმიანობას;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ზ) ამზადებს წინადადებებს ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) ხელმოწერით ადასტურებს ადამიანის უფლებათა სამდივნოდან გასულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებს;

ი) წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობისას;

კ) შეიმუშავებს ადამიანის უფლებათა სამდივნოს დებულებისა და საშტატო ნუსხის პროექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარმოსადგენად;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და მისი მოადგილის მიერ გაცემული დავალებების შესრულებას.“.

ირაკლი ღარიბაშვილი